ქალაქ თბილისის მერიის საჯარო სამართლის იურიდიული პირი

თბილისის არქიტექტურის სამსახური

ბრძანება №4097645

ნომერი: AR1615129

თარიღი : 10.07.2018

გაცემის თარიღი : 01.08.2018

გაცნობის თარიღი : 01.08.2018

შედეგი : თანხმობა.

ობიექტის მისამართი :

ქალაქი თბილისი , გამზირი რუსთაველი , N 2/4 , (ნაკვ. 065/009); ქალაქი თბილისი , გამზირი რუსთაველი , 2/4; ქალაქი თბილისი , გამზირი რუსთაველი , N 2/4 , (ნაკვ. 65/003);

დამკვეთი-განმცხადებელი
- ნიკოლოზ ჩხაიძე პ/ნ 01024024996
- თბილისი ჟ.შარტავას ქ. N 22 ბ. 9

ორგანიზაცია:
- შპს"თბილისი პლაზა" კოდი: 204558497

ნომენკლატურა :

- სამართლებრივი საკითხები
- ტექნიკური ხარვეზის გასწორება ადმინისტრაციულ - სამართლებრივ აქტში

ვბრძანებ

ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის სსიპ - ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის არქიტექტურის სამსახურის 2017 წლის 24 აპრილის №3221099 ბრძანებაში ტექნიკური შეცდომის გასწორების თაობაზე

ქ. თბილისის მუნიციპალიტეტის სსიპ – ქ. თბილისის მუნიციპალიტეტის არქიტექტურის სამსახურს 2018 წლის 10 ივლისს №AR1615129 განცხადებით მომართა ნიკოლოზ ჩხაიძემ და მოითხოვა ამავე სამსახურის 2017 წლის 24 აპრილის №3221099 ბრძანებაში ტექნიკური შეცდომის გასწორება.

სამსახურმა, საქართველოს ზოგადი ადმინისტრაციული კოდექსის 96–ე მუხლის მოთხოვნათა შესაბამისად, შეისწავლა საქმისათვის არსებითი მნიშვნელობის მქონე გარემოებები და დაადგინა, რომ ქ. თბილისის მუნიციპალიტეტის სსიპ – ქ. თბილისის მუნიციპალიტეტის არქიტექტურის სამსახურის 2017 წლის 24 აპრილის №3221099 ბრძანებით შეთანხმდა ქ. თბილისში (სექტორი – მთაწმინდა), შოთა რუსთაველის გამზ. N2/4–ში საერთო საკუთრებაში არსებულ მიწის ნაკვეთებზე მდებარე შენობა–ნაგებობის რეკონსტრუქციის კორექტირებული პროექტი. გაიცა მშენებლობის ნებართვა და სანებართვო მოწმობა. მშენებლობის ვადა განისაზღვრა 2017 წლის 25 აპრილიდან 2018 წლის 25 თებერვლის ჩათვლით.

წინამდებარე განცხადებით განმცხადებელი ითხოვს ტექნიკური ხარვეზის გასწორებას სამსახურის 2017 წლის 24 აპრილის №3221099 ბრძანებაში, კერძოდ: აღნიშნული ბრძანებით შეთანხმებული გეგმების ჩანაცვლებას 2018 წლის 10 ივლისის №AR1615129 განცხადებაზე წარმოდგენილი გეგმებით.

სამსახურმა განმცხადებლის მიერ წარმოდგენილი შეცვლილი გეგმა - ნახაზები შეადარა შეთანხმებულ გეგმა-ნახაზებს და დაადგინა, რომ არ იცვლება გეგმარება ხდება მხოლოდ ფართების გადანაწილება, შესაბამისად არსებობს ტექნიკური შეცდომის გასწორების სამართლებრივი საფუძველი.

საქართველოს ზოგადი ადმინისტრაციული კოდექსის 59-ე მუხლის თანახმად, ადმინისტრაციული ორგანო უფლებამოსილია მის მიერ გამოცემულ ადმინისტრაციულ აქტში გაასწოროს ტექნიკური შეცდომა.

ამდენად, სამსახურმა მიზანშეწონილად მიიჩნია განმცხადებლის მოთხოვნის დაკმაყოფილება ქ. თბილისის მუნიციპალიტეტის სსიპ – ქ. თბილისის მუნიციპალიტეტის არქიტექტურის სამსახურის 2017 წლის 24 აპრილის №3221099 ბრძანებაში ტექნიკური შეცდომის გასწორების თაობაზე.

ზემოაღნიშნულიდან გამომდინარე, საქართველოს ზოგადი ადმინისტრაციული კოდექსის 59-ე მუხლის თანახმად,

ვბრძანებ:

1. გასწორდეს ტექნიკური შეცდომა ქ. თბილისის მუნიციპალიტეტის სსიპ – ქ. თბილისის მუნიციპალიტეტის არქიტექტურის სამსახურის 2017 წლის 24 აპრილის №3221099 ბრძანებაში და აღნიშნული ბრძანებით შეთანხმებული გეგმები ჩანაცვლდეს 2018 წლის 10 ივლისის №AR1615129 განცხადებაზე წარმოდგენილი გეგმებით.
2. ქ. თბილისის მუნიციპალიტეტის სსიპ – ქ. თბილისის მუნიციპალიტეტის არქიტექტურის სამსახურის 2017 წლის 24 აპრილის №3221099 ბრძანება დანარჩენ ნაწილში დარჩეს უცვლელი.
3. წინამდებარე ბრძანება განხილულ იქნას ქ. თბილისის მუნიციპალიტეტის სსიპ – ქ. თბილისის მუნიციპალიტეტის არქიტექტურის სამსახურის 2017 წლის 24 აპრილის №3221099 ბრძანებასთან ერთად.
4. ბრძანება შეიძლება გასაჩივრდეს ქ. თბილისის მუნიციპალიტეტის მერთან (მის.: ქ. თბილისი, ჟ. შარტავას ქუჩა №7), კანონმდებლობით დადგენილი წესით, მისი ოფიციალური წესით გაცნობიდან ერთი თვის ვადაში.